FIRA AER Association Européenne Rugby

რაგბი

საქართველოს საჯარო ნავიგაცია

ევროპის ერთა თასი

შაბათს, 11 მარტს
ეროვნულზე, ორ საათზე

საქართველო

პორტუგალია

რაგბის ქომაგის დღიური საკითხავი

www.rugby.ge

European Nations Cup
Championnat Européen des Nations

2005/06 წლების ერთა თასი

რუმინეთი	5–1	+ 166
საქართველო	5–2	+ 147
პორტუგალია	4–1“1	+ 38
ჩეხეთი	3–4	–56
რუსეთი	2–5“1	+ 44
უკრაინა	0–6	–339

ვძლიოთ პორტუგალია!

რუმინეთში წაგებით, ანთიმოზ ივერიელის თასის დაკარგვის გარდა, სხვა არაფერი დაშავებულა. საკმარისია დღეს პორტუგალია ვძლიოთ, რომ ერთა თასზე მეორე ადგილს ხომ დავიბევებთ და 2007 წლის მსოფლიო თასზე, საფრანგეთში წასასვლელადაც ჩინებულ პლაცდარმს შევიქმნით. ერთი კია, ევროპიდან ფინალისტთა შერჩევის სისტემა ისე ორიგინალურია, რომ წელსვე, ნოემბერში, შინ ისევ პორტუგალიასთან მოგვიწევს გადამწყვეტი მატჩის გამართვა და თუ რადა და როგორ, მაგის ახსნას წინამდებარე წიგნაკში იპოვით.

პირველი წრე

2004		
20/11	რუსეთი – საქართველო	15:27
	უკრაინა – პორტუგალია	6:36
27/11	ჩეხეთი – რუმინეთი	14:38
2005		
5/02	პორტუგალია – საქართველო	18:14
26/02	საქართველო – უკრაინა	65: 0
	რუმინეთი – რუსეთი	33:10
	პორტუგალია – ჩეხეთი	19:13
12/03	საქართველო – რუმინეთი	20:13
	ჩეხეთი – უკრაინა	42: 5
19/03	რუმინეთი – უკრაინა	97: 0
	ჩეხეთი – რუსეთი	11: 7
4/06	რუსეთი – პორტუგალია	16:18
11/06	რუმინეთი – პორტუგალია	14:10
	რუსეთი – უკრაინა	72: 0
12/06	საქართველო – ჩეხეთი	75:10

მეორე წრე

2005			
5/11	უკრაინა – ჩეხეთი	(8რ)	8:46
12/11	რუსეთი – ჩეხეთი	(9რ)	52:12
2006			
4/02	საქართველო – რუსეთი	(6რ)	46:19
25/02	რუმინეთი – საქართველო	(8რ)	35:10
	პორტუგალია – რუსეთი	(8რ)	19:19
11/03	საქართველო – პორტუგალია	(9რ)	
	რუმინეთი – ჩეხეთი	(6რ)	
18/03	ჩეხეთი – საქართველო	(10რ)	
	პორტუგალია – რუმინეთი	(10რ)	
29/04	უკრაინა – საქართველო	(7რ)	
13/05	პორტუგალია – უკრაინა	(6რ)	
20/05	ჩეხეთი – პორტუგალია	(7რ)	
27/05	უკრაინა – რუსეთი	(10რ)	
03/06	უკრაინა – რუმინეთი	(9რ)	
10/06	რუსეთი – რუმინეთი	(7რ)	

ლობუშის ავან-ჩავანი

დღეს წრე იკვრება: ექვს–გუნდა ერთა თასზე საქართველოს ბორჯღალოსნების მეტოქეთაგან ბოლოც, პორტუგალიის ლობუში (მგლები) ჩამოსულა, რათა სამი წლის ვალი ერთბაშად გავუსტრუმროთ და სატურნირო კიბეზე ადგილი ჩვენს ქვემოთ საბოლოოდ მივუჩინოთ.

საქართველო შინ ბოლო ხანს უძლეველია. უკრაინა და ჩეხეთი სასტიკად მოისრნენ, რუსეთი გაპამპულავდა და მარიფათიანმა რუმინეთმაც ისეთი შეცდომები დაუშვა, როგორიც სხვაგან და სხვა დროს რომ არ მოსდის ხოლმე. ერთი სიტყვით, ლობუშის გასაღების ჯერი დამდგარა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი უღალატო ბორჯღალოსნები ამჯერადაც გაახარებენ ქომაგს.

პორტუგალია ერთა თასის ბოლო, ორი წლის წინდელი მფლობელია. მიმდინარე სანაკრებო რეიტინგშიც ლობუში ერთი ადგილით გვისწრებს, მაგრამ მაგის მიზეზი ისაა, რომ ნოემბერში მავანთაგან დამოძღვრილი ურუგვაი არ გვეწვია, მერე პორტუგალიაში წაავო, ხოლო ვისი ჯერიც იყო, იმან ჩვენს საჩივარს ყური არ ათხოვა და მეტოქის შატალოსთვის სარგო ქულები არ დაგვირიცხა, რაღაი ამგვარი ქმედება არა–რაგბული (?!) იქნებოდა.

პორტუგალია ლათინური სარაგბო ოჯახის წევრია. მსოფლიო თასი საფრანგეთში რომ იმართება, მავანთ ლობუშის ფინალში გათრევა სურთ. თავად ლუზიტანებიც მაგრად ჩალიჩობენ: მსოფლიოში რაგბის გამგებლის, IRB–ის ყოველკვირეულ მიმოხილვა მსოფლიო რაგბში მალიმალ აღევლინება მამაცი და მზარდი ლობუშის ხოტბა და IRB–ში ევროპული AHR–ის ახალი დესპანიც პორტუგალი ბიზნესმენი რეულ მერტინშია.

პორტუგალია განსაკუთრებით იმ მოღვაწეებს უყვართ, რაგბის გაპროფესიულებას რომ ვერაფრით შეგუებიან. ამიტომაა, რომ IRB–ული პროპაგანდა ხშირად შენიშნავს, დახეთ ეს, ალალად მოყვარული, შინ მოთამაშე და თითო–ოროლა ლეგიონერის მყოლი გუნდი როგორ უმკლავდება ჯამაგირიანსა და ნავარჯიშებ მეტოქეებსო.

ლობუში მართლაც სხარტი გუნდია. შინ ნაზარდი პროფესორის, ტომაჟ მორეიშის ხელში ნაკრების პროგრესი უდაოა, მეტადრე კი სახალისო, შვიდკაცა რაგბში. რაც ამ სახეობაში ევროპის სერია დაწესდა, პორტუგალია უცვლელი, უკვე ოთხგზის (!) ჩემპიონია და ჩვენც რეგულარულად გვიგებს, მაგრამ ერთია შვიდკაცა და სულ სხვა უჭეშმარიტესი, დიდი რაგბი, სადაც მეტოქეს ჯერ უნდა მოერიო და ბურთი დაიბევო, მერე კი ან ხელდახელ თამა–

შით ლელო შეიტანო და ანაც შეტევაში მოპოვებული ჯარიმები კარში გატანით ქულებად აქციო.

პორტუგალია ერთა თასის მოქმედი ჩემპიონი რომაა, დესპანმა მერტინშმა იხერხა, ნოემბერში ევროპაში მყოფი ფიჯი გადაიპატიჟა და IRB-ის ფულით ლობუში სამხრეთ აფრიკაში, ცისარტყელას თასზეც მიაწვევინა, მაგრამ ეგეც ცხადია, რომ რაღაი ქვეყნის სარაგბო რესურსი მწირია, თაობათა ცვლის გამო ნაკრებს სულ უფრო და უფრო უჭირს გამარჯვება. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, შარშან პორტუგალიამ ძლივს ძლია ჩეხეთი, წელს კი შინ ვეღარც ჩვენს მიერ შერცხვენილ რუსეთს აჯობა და დაუგეგმავი ფრე ინგლისელ მსაჯს გადააბრალა.

ლეონესთან შეღლითა

რაგბი პორტუგალიაში პირველად 1903 წელს ითამაშეს, ოღონდაც უცხოელებმა. ორი ადგილობრივი გუნდი ერთმანეთს პირველად 1922 წელს შეება. 1927 წელს შეიქმნა ლისაბონის რაგბის ასოციაცია. 1934 წელს პორტუგალია იყო ევროპული ფIRA-ს (ახლანდელი აპრ) ერთერთი დამფუძნებელი.

1957 წელს დედაქალაქის ასოციაცია ეროვნულ ფედერაციად გადაკეთდა. 1959 წლიდან იმართება ეროვნული პირველობა, რომელიც სხვებზე მეტჯერ მოგებული აქვთ ლისაბონის უნივერსიტეტს, ბენფიკასა და კასკეშს.

1988 წელს პორტუგალია IRB-ის წევრად მიიღეს. ეროვნული ნაკრები ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ 1935 წელს, მაგრამ 30 წლის მანძილზე მხოლოდ 5-ჯერ, მეზობელ ესპანეთთან ითამაშა და ყველა წააგო.

1974 წლის ანტი-ფაშისტური რევოლუციის შემდეგ ნაკრები კარგა ხანი აღარ შეკრებილა, მაგრამ 1979 წლიდან განახლდა დანარჩენ სამყაროსთან კონტაქტი და პორტუგალიას საერთაშორისო ღონისძიება აღარ გამოუტოვებია.

1999 წლის მსოფლიო თასის შერჩევაში პორტუგალიამ ზედიზედ სამ ეტაპზე გადამწყვეტი მატჩი ესპანეთთან წააგო (სტუმრად 18:25 და 22:33, ნეიტრალურ მოედანზე კი 17:21), რის შედეგადაც 20-ეულში შევიდა ლეონესი (ლომები), ვისაც მერტინშის წინამორბედი, ბასკი ხოსე-მარია ეპალსა მფარველობდა.

სამეზობლო შეღლში შემობრუნება 2000 წელს მოხდა, როცა ლობუშმა 33-წლიანი ნავსი გატეხა. იმავე წელს პორტუგალია ერთა თასის პირველი ჯგუფიდან გავარდნას მხოლოდ იმად გადაურჩა, რომ ევროპული რაგბის მამებმა, მსოფლიოთა მითითებით, მაროკო აფრიკაში გაისტუმრეს, 2002 წლის გაზაფხულზე კი ლობუშმა გადამწყვეტი შესარჩევი ისევ და ისევ ლეონესთან, გასვლაზე 21:34 წააგო და გავარდა მაშინ, როცა 12 ქულით დამარცხებაც კი აწყობდა.

პორტუგალია

წელს, 25 თებერვალს რუსეთის წინააღმდეგ

ბეკები

15 პედრუ ლეალი (დირეიტუ)
11 ენტონიუ ეგილარი (დირეიტუ)
14 დევიდ მეტეუში (ბელენენსეში)

13 მიგელ პორტელა (დირეიტუ)
12 დიოგუ მეტეუში (ბელენენსეში)
10 ფილიპე გრენიუ (ბენფიკა)

9 ჟოზე პინტუ (ლაციო ITA)

ფორვარდები

1 რუი კორდეირუ (აკადემიკა)
2 ჟოაუ კორეია (დირეიტუ)
3 კრისტიან სპაშუკი (ბელენენსეში)

4 მერსელუ დორეი (პორტუს უნი)
5 გონსალუ უვე (დირეიტუ)

6 დევიდ პენალვა (პუატიე SWR)
7 ვესკუ უვე ZAP (დირეიტუ)
8 დიოგუ კუტინიუ (დირეიტუ)

მარქაფა

22 დიოგუ გემა (ბენფიკა)
21 პედრუ სილვა (ბელენენსეში)
20 ლუიშ პისარა (ეგრუნომია)

16 ჟუაკინ ფერეირა (პორტუს უნი)
17 ბრუნო კონსეისაუ (ბენფიკა)
18 ტიეგუ ჟირეუ (ლისაბონის უნი)
19 სელვადორ პელია (დირეიტუ)

ბორჯღალოსანთა მონაგარი

1989–2006

76 თამაში

29 შინ, 37 გარეთ, 10 ნეიტრალურზე

44 გამარჯვება – 29 მარცხი, 3 ფრე

ქულა 1764:1513

ლელო 212–170

სულ (18 წელში) **165 ბორჯღალოსანი**

90 ფორვარდი, 69 ბეკი და 6 უნივერსალი

ამ დროისთვის ფორვარდებმა და ბეკებმა 106–106 ლელო გაიტანეს

კაპიტნები (სულ თოთხმეტნი)

ილია ზედგინიძე 22 თამაში; ლევან ცაბაძე 12; დიმიტრი ობოლაძე და ზურაბ მჭედლიშვილი 11; ნუგზარ ძაგნიძე 7; ოლეგ ლიპარტელიანი 3; ვასილ კაცაძე და დავით ბოლღაშვილი 2; ალეკო ხვედელიძე, თამაზ ფხაკაძე, გია რაფავა, ვანო ნადირაძე, გია ლაბაძე და ბესიკ ხამაშურიძე – თითო

ღვაწლმოსილნი

პალიკო ჯიმშელაძე 46 ბორჯღალი (კეპი); მახო ურჯუკაშვილი, აქვსენტი გიორგაძე და ბესიკ ხამაშურიძე 41; გია ლაბაძე 39; ზურაბ მჭედლიშვილი და ილია ზედგინიძე 38; თედო ზიბზიბაძე 37; ვანო ნადირაძე, ვასილ კაცაძე და ვიქტორ დიდებულიძე 34; ლევან ცაბაძე 33; გოდერძი შველიძე 32; ირაკლი აბუსერიძე 31; მევლუდ მთიულიშვილი 30

ქულა

პალიკო ჯიმშელაძე 273 (8ლ 49გ 42ს 3ა); მახო ურჯუკაშვილი 210 (9ლ 33გ 32ს ა); ნუგზარ ძაგნიძე 105 (3ლ 9გ 22ს 3ა); კახა მაჩიტიძე 63 (2ლ 10გ 7ს 4ა); შოთა მოდებაძე 62 (3ლ 4გ 13ს); ნიკო იურინი 53 (6ლ 4გ 3ს 2ა); ბობა კვინიხიძე 43 (ლ 7გ 8ს)

ლელო

ილია ზედგინიძე 12 (2 საჯარიმო); თედო ზიბზიბაძე 11; ლევან ცაბაძე და არჩილ ქავთარაშვილი 10; მახო ურჯუკაშვილი, ბესიკ ხამაშურიძე და აქვსენტი გიორგაძე 9; ვასილ კაცაძე, გია ლაბაძე და პალიკო ჯიმშელაძე 8; გოდერძი შველიძე 7; ნიკო იურინი, ბადრი ხეხელაშვილი და მამუკა გორგოძე 6

www.rugby.ge/KA/KA_Borjhalosnebi.htm

აღარა კმარა?

ბორჯღალოსნებს ფრიად უსიამო ნავსი აქვთ გასატეხი: სამ-სათუო-გამარჯვებიანი წყება უნდა გაუწყვიტონ ლობუშს, ვინც ბოლო ხანს კი მოძლიერდა, მაგრამ აქამდე თუ გვიგებდა, უფრო იმად, რომ მსაჯები ურცხვად აშველებდნენ სასტვენს.

დღეს, იმედი ვიქონიოთ, ასე აღარ მოხდება, თორემ ლათინი რეფები ჯგუფურ ლელოებს არ გვითვლიდნენ, პორტუგალიას კი ბოლო წუთებზე წინ პასის ნებასაც რთავდნენ. ისინი რაქში ჩვენს მხარეს იწვნენ და ბურთს გვინელებდნენ, ჩვენ კი, თუ სამართალს თავად გავაჩენდით, მკაცრად ვისჯებოდით.

რაც რაგბში სინბინი (ყვითელი ბარათი, ანუ ათი წუთით გაძევება) შემოვიდა, ჩვენ კაცი ექვსჯერ გაგვიგდეს, იმათ კი მხოლოდ ორჯერ. ამის გარდა, ჩვენს პასივში ერთი წითელი ბარათი და ორიც დისკვალიფიკაციაა, რაც 7-მატჩა სერიისთვის მეტისმეტია.

ყველაფერი უკუღმართად ჯერ კიდევ 1997 წელს დაიწყო, როცა ფრანგმა ალენ ფერნანდესმა დაგვჩაგრა და მოედანზევე, დროშის ტარით გაილახა. კოლეგას პირველსავე ერთა თასზე არ ჩამორჩა მესიე პელაპრა და ლობუშის კიკერ ტიერი ტეშეირას მსოფლიო რეკორდი (10 გოლი) დაამყარებინა.

მერე ჩვენები ისე მოძლიერდნენ და საფრანგეთში თამაშის გამოც გალ მსაჯებს იმდენად გაუშინაურდნენ, რომ პორტუგალთა მფარველებმა დახმარებისთვის იტალიელებს მიმართეს და ამათაც პირნათლად გაართვეს საქმეს თავი. შარშანწინ, ვაკეში, უფალი ლომბარდი იქამდეც დაბრმავდა, რომ ვერ შენიშნა, ჯარიმის კარში დარტყმის წინ ლობუშის კიკერმა ბურთი სამი მეტრით წინ რომ წაწია.

ჰოდა, ამეების მერე რა გასაკვირია, თუ ოთხივე თამაში ბოლო წუთებზე გვაქვს წაგებული და ყოველთვის ძაან ცოტათი, ლელოთა ბალანსი კი მაინც აშკარად ჩვენს სასარგებლოდაა.

საქართველო – პორტუგალია

1997 19.04 ფირა ლისაბონი **17:21 1-2**

ლ: ნადირაძე; 3ს: შ.მოდებაძე; ა: მაჩიტიძე [დისკ: ბესელია, გ.გიუნაშვილი] " 0:3 3:3 3:10 8:10 / 11:10 14:10ა 14:13 17:13 17:16 17:21

2000 6.02 ეთ ლისაბონი **32:30 4-0**

4ლ: ცაბაძე ორი (1 4), ხეხელაშვილი, ა. გიორგაძე; 3გ, 2ს: ურჯუკაშვილი " 0:3 3:3 6:3 6:6 6:9 6:12 / 13:12 20:12 27:12 27:15 27:18 27:21 27:24 27:27 27:30 32:30 (77)

2001 17.02 ეთ ეროვნული **36:12 6-0**

6ლ: ზედგინიძე ორი (1 2), აბუსერიძე, ზიბზიბაძე ორი (4 6), ბოლოაშვილი; 3გ: ჯიმშელაძე " 5:0(2) 5:3(6ა) 5:6(17) 10:6(25) 10:9(30) 17:9(38) ნახევარი (40+2) / 17:12(47) 24:12(57) 31:12 (59) 36:12(72) ბოლო (80+2)

2002 16.02 ეთ ჟამორი **27:23 4-3**

4ლ: ხეხელაშვილი, ურჯუკაშვილი, ა. გიორგაძე ორი (3 4); 2გ: ჯიმშელაძე; ს: ურჯუკაშვილი [სბ: მაგრაქველიძე, რატიანიძე] " 0:5(5) 0:12(9) 7:12(11) 7:17(20) 12:17(35) 12:20(39) / 12:23(47) 19:23(49) 24:23(51) 27:23(75) ბოლო (80+4)

2003 16.02 ეთ ლისაბონი **30:34 4-3**

4ლ: კაცაძე ორი (1 4), ზედგინიძე, აბუსერიძე; 2გ, ს, ა: ჯიმშელაძე [სბ: ი. გიორგაძე] " 0:3 0:8 5:8 10:8 13:8 13:15 20:15 23:15ა 23:18 23:21 / 23:24 30:24 30:27 30:34(80+)

2004 15.02 ეთ ვაკე **14:19 2-1**

2ლ: კობალიანი, ღვაბერიძე; 2გ: ურჯუკაშვილი, კვინიხიძე [სბ: მაისურაძე, ზ. მჭედლიშვილი] " 0:3(11) 0:10(19) 7:10(27) 7:13 (40+1) ნახევარი (40+2) / 7:16(45) 14:16(65) 14:19(80+5ა) ბოლო (80+6)

2005 5.02 ეთ ლისაბონი **14:18 1-2**

ლ: შველიძე; 2ს: ურჯუკაშვილი; ა: კიკნაძე [სბ: დათუნაშვილი; წბ: გუგავა] " 3:0 (20ა) 3:3 (22ა) 3:8 (36) 3:11 (40+2) ნახევარი (40+5) / 6:11 (60) 11:11 (64) 14:11 (72) 14:18 (80+2) ბოლო (80+5)

სულ: 7 თამაში

2 შინ, 5 გარეთ

3 გამარჯვება - 4 მარცხი

ქულა 170:157, ლელო 22-10

ფირა ფირას პირველობა ეთ ერთა თასი

თემი მრავალრიცხოვანი

ბორჯღალოსნები დამოუკიდებელი ქართული სპორტის სიამაყეა. ესაა გუნდი, რომელიც არ წუწუნებს, არაფერს ითხოვს, მუდამ თავდადებით რაგბობს, მეტწილად იმარჯვებს და ერს საკუთარი ღირსების გრძნობას უღვივებს.

ბორჯღალოსნები მობურთალთა პირველი ეროვნული ნაკრებია, ვინც მსოფლიო თასზე (ჩემპიონატზე) ფინალში გავიდა და კიდევ ბევრჯერ გავა. ერთი სიტყვით, თუ უკიდეგანოდ განათლებული საზოგადოების ენაზე მოვთარგმნით, ბორჯღალოსნები (ლელოზ ოვ ჯოჯა) დღესდღეობით ყველაზე ცნობადი ქართული სპორტული ბრენდია.

ბორჯღალოსნების წარმატება ჩვენი საბრძოლო თამაშის, ლელობურთის მრავალ-საუკუნოვანსა და ადგილობრივი რაგბის ლამის ნახევარ-საუკუნოვან ტრადიციას ემყარება.

ბორჯღალოსნები ქართული რაგბის ოდენ მწვერვალია, მის ფერდებსა და ძირში კი ბარემ ათიათასიანი რაგბის თემია, რომლის ორი ათასი წევრიც, ვეტერანით დაწყებული და უმცროსკლასელით დამთავრებული, მოედანზე გადის და ოვალური ბურთის სიყვარულით თამაშობს.

ქართული რაგბის ისტორია 1959 წლით იწყება და აქამდე უწყვეტად მოდის. დღესდღეობით ინგლისური თამაში, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა საერთაშორისო ლელობურთი, საქართველოს კუთხეთა მეტ წილშია გავრცელებული და სადაც ჯერ ვერაა, იქაც ინერგება.

ქართული რაგბის უმთავრესი ცენტრები თბილისი, ქუთაისი და ბათუმი არიან.

თბილისში რაგბის რვა კლუბია: აკადემია, არმაზი, დინამო, ლელო, ლოკომოტივი, უნივერსიტეტი, ყოჩები და ხულიგანა. ქუთაისს აია ჰყავს, ბათუმს კი ელიტი.

ყველა ამ ბუდეში მოქმედებს კაცთა თითო კოლექტივი და ხუთი ასაკის (18, 16, 14, 12 და 10 წლის) ჭაბუკთა და ბავშვთა გუნდები. სამ უფროს კატეგორიაში საქართველოს პირველობა და თასი იმართება, დანარჩენ სამში კი ფესტივალები.

მათში მონაწილეობენ: კახეთიდან თელავი, პატარძეული და დედოფლის წყარო; ქვემო ქართლიდან რუსთავი და ბოლნისი; სამცხე ჯავახეთიდან ბორჯომი, ახალციხე და ასპინძა; იმერეთიდან ვანი; სამეგრელოდან ფოთი, სენაკი და მარტვილი; გურიიდან ჩოხატაური; აჭარიდან კი ქობულეთი, ხელვაჩაური, შუახევი და ქედა.

გარდა ამისა, უწინ რაგბის გუნდები ჰყოლიათ ჭიათურას, ონს, წყალტუბოს, ზესტაფონს, ხაშურს, ლენტეხს, ზუგდიდსა და ლანჩხუთს. ჰოდა, ქართული რაგბის თემიც ცდას არ აკლებს, რათა კერები ამრავლოს და ქალთა რაგბიც დანერგოს.



ბუქარესტი 2001: ჟამი ბორჯღალოსანთა პირველობისა

უმცროსი ექვსი ერი

საქართველო ევროპულ ასპარეზზე 1993 წელს გავიდა და 1999 წლის მსოფლიო თასზე მოხვედრამდე ერთი ნაბიჯი რომ დააკლდა, 2000 წლიდან ერთა თასის პირველ დივიზიონში დაფუძნდა. მას აქეთ ბორჯღალოსნები უკეთეს სამეულში მუდმივად ხვდებიან, რაც ელიტარული და კარ-ჩაკეტილი ექვსი ერის არსებობის გათვალისწინებით იმას ნიშნავს, რომ საქართველო ევროპის უკეთეს ცხრაეულშია.

ერთა თასის მოთავეთა პირვანდელი გეგმით, ამ შეჯიბრის გამარჯვებული პერსპექტივაში ექვს ერზე უნდა აღზევებულიყო, მაგრამ რაც ელიტამ 2011 წლამდე გალავანი შემოივლო, ერთა თასის განრიგი აღარ მიყვება ექვსი ერისას, ანუ ფანობა თებერვალ-მარტში აღარ ითოშება.

მიუხედავად ამისა, საერთაშორისო, ოფიციოზზე უფრო ავტორიტეტული, მოწესრიგებული და სამართლიანი სარაგბო მედია ერთა თასს მაინც უმცროს ექვს ერად განიხილავს და მის ჯილას ყოველ წლიურად ასახელებს. არადა, ევროპელ მამათა მორიგი ახირების გადამკიდე, 2003 წლიდან მოკიდებული, ერთა თასზე ორი სეზონის შედეგები ჯამდება (2003+2004, 2005+2006).

სულ ერთა თასი შვიდ დივიზიონად თამაშდება.

ევრო რაგბი 2006

ელიტა (6 ერი): უელსი, საფრანგეთი, ირლანდია, ინგლისი, შოტლანდია, იტალია

პირველი დონე (ერთა თასი): საქართველო, რუმინეთი, პორტუგალია, ჩეხეთი, რუსეთი, უკრაინა

მეორე და მესამე დონეები (მსოფლიო თასის შესარჩევი): „ა“ პული – ესპანეთი, პოლონეთი, მოლდოვა, ჰოლანდია, ანდორა; „ბ“ პული – გერმანია, ბელგია, ხორვატია, სერბეთი, მალტა

მეოთხე დონე (3ა ჯგუფი): შვედეთი, დანია, ავსტრია, ლატვია, შვეიცარია

მეხუთე დონე (3ბ): სლოვენია, ლიტვა, ბულგარეთი, უნგრეთი, სომხეთი

მეექვსე დონე (3გ): ბოსნია, ლუქსემბურგი, აზერბაიჯანი, ნორვეგია, ისრაელი

მეშვიდე დონე (3დ): ფინეთი – მონაკო, საბერძნეთი – სლოვაკეთი

სულ: 41 ქვეყანა (ფეხბურთის უმაღ-ს წევრებიდან აკლიან: ესტონეთი, ბელარუსი, მაკედონია, ალბანეთი, თურქეთი, კვიპროსი, სან მარინო, ლიხტენშტაინი, ისლანდია, ფარერები; რაგბში არა-ქვეყანა ჩრდ. ირლანდია და აზიელი ყაზახეთი)

2000

პორტუგალია–საქართველო	30:32
ესპანეთი – ჰოლანდია	33: 8
მაროკო – რუმინეთი	18:10
მაროკო – საქართველო	10:20
პორტუგალია – ესპანეთი	21:19
ჰოლანდია – რუმინეთი	10:39
ესპანეთი – საქართველო	36:32
რუმინეთი – პორტუგალია	33: 3
მაროკო – ჰოლანდია	44:15
საქართველო – ჰოლანდია	41: 6
რუმინეთი – ესპანეთი	25: 6
პორტუგალია – მაროკო	9: 3
საქართველო – რუმინეთი	20:23
ესპანეთი – მაროკო	15:19
ჰოლანდია – პორტუგალია	13:11

რუმინეთი	4-1	130: 57
საქართველო	3-2	145:105
მაროკო	3-2	94: 69
ესპანეთი	2-3	109:105
პორტუგალია	2-3	74:100
ჰოლანდია	1-4	52:168

2001

ჰოლანდია – საქართველო	3:32
ესპანეთი – რუსეთი	29:30
პორტუგალია – რუმინეთი	0:47
საქართველო–პორტუგალია	36:12
ჰოლანდია – რუსეთი	20:41
ესპანეთი – რუმინეთი	12:27
რუსეთი – საქართველო	23:25
რუმინეთი – ჰოლანდია	52:15
ესპანეთი – პორტუგალია	31:15
საქართველო – ესპანეთი	43:10
რუმინეთი – რუსეთი	42:13
პორტუგალია – ჰოლანდია	23: 6
რუმინეთი – საქართველო	20:31
რუსეთი – პორტუგალია	45:27
ჰოლანდია – ესპანეთი	13:36

საქართველო	5-0	167: 68
რუმინეთი	4-1	188: 71
რუსეთი	3-2	152:143
ესპანეთი	2-3	118:128
პორტუგალია	1-4	77:165
ჰოლანდია	0-5	57:184

2002

საქართველო – ჰოლანდია	88: 0
რუსეთი – ესპანეთი	35:25
რუმინეთი – პორტუგალია	44:17
პორტუგალია–საქართველო	23:27
რუმინეთი – ესპანეთი	34:12
რუსეთი – ჰოლანდია	73:10
საქართველო * რუსეთი	12:12
პორტუგალია – ესპანეთი	13:10
ჰოლანდია – რუმინეთი	3:49
ესპანეთი – საქართველო	18:34
რუსეთი – რუმინეთი	22:27
ჰოლანდია – პორტუგალია	11:27
საქართველო – რუმინეთი	23:31
პორტუგალია – რუსეთი	13:38
ესპანეთი – ჰოლანდია	63: 3

რუმინეთი	5-0	185: 77
საქართველო	3*1	184: 84
რუსეთი	3*1	180: 87
პორტუგალია	2-3	93:130
ესპანეთი	1-4	128:119
ჰოლანდია	0-5	27:300

2003

პორტუგალია–საქართველო	34:30
ესპანეთი – რუსეთი	19:52
საქართველო – ესპანეთი	34: 3
პორტუგალია – რუმინეთი	16:15
რუსეთი – საქართველო	17:23
პორტუგალია – ჩეხეთი	43:10
ესპანეთი – რუმინეთი	6:31
ჩეხეთი – საქართველო	15:30
რუმინეთი – რუსეთი	23:12
პორტუგალია – ესპანეთი	35:16
რუსეთი – პორტუგალია	14:25
საქართველო – რუმინეთი	6:19
ესპანეთი – ჩეხეთი	38:40
ჩეხეთი – რუსეთი	27:13
ჩეხეთი – რუმინეთი	5:42

პორტუგალია	5-0	153: 85
რუმინეთი	4-1	130: 45
საქართველო	3-2	123: 88
ჩეხეთი	2-3	97:166
რუსეთი	1-4	108:117
ესპანეთი	0-5	82:192

2004

საქართველო–პორტუგალია	14:19
რუმინეთი – ჩეხეთი	55:11
რუსეთი – ესპანეთი	36: 6
ესპანეთი * საქართველო	6: 6
რუმინეთი – პორტუგალია	36: 6
საქართველო – რუსეთი	9: 3
ჩეხეთი – პორტუგალია	8:13
რუმინეთი – ესპანეთი	50:10
საქართველო – ჩეხეთი	23: 7
რუსეთი – რუმინეთი	33:24
ესპანეთი – პორტუგალია	19:35
რუმინეთი – საქართველო	25:18
პორტუგალია – რუსეთი	19:18
ჩეხეთი – ესპანეთი	16: 6
რუსეთი – ჩეხეთი	არ გამართულა

რუმინეთი	4-1	190: 78
პორტუგალია	4-1	92: 95
საქართველო	2*2	70: 60
რუსეთი	2-2	90: 58
ჩეხეთი	1-3	42: 97
ესპანეთი	0*4	47:143

2005

ანგარიშები იხილეთ
მესამე გვერდზე

საქართველო	4-1	201: 56
რუმინეთი	4-1	195: 54
პორტუგალია	4-1	101: 63
ჩეხეთი	2-3	90:144
რუსეთი	1-4	120: 89
უკრაინა	0-5	11:312

ექვსი წლის ჯამი

	მ-წ*ფ	ქ%
რუმინეთი	25- 5	83
საქართველო	20- 8*2	70
პორტუგალია	18-12	60
მაროკო	3- 2	60
რუსეთი	10-13*1	44
ჩეხეთი	5- 9	36
ესპანეთი	5-19*1	22
ჰოლანდია	1-14	7
უკრაინა	0- 5	0

გავარდა

თუ „ევროპა 3“-ად მოვხვდით

შარშან, მარტში, 2007 წლის რაგბის მსოფლიო თასის პრეზიდენტი, ფრანგი ბერნარ ლაპასე და შპს მსოფლიო თასის თავმჯდომარე, ირლანდიელი დოქტორი სიდ მილარი მედიას პარიზში წარუდგნენ და ვებ ელისის თასის მეექვსე გათამაშების გამოწვლილვითი განრიგი წარუდგინეს.

20-გუნდა ტურნირი 44 დღეს გასტანს. 40-მატჩა პულური სტადია სექტემბერში მოთავდება, 8-მატჩა პლეი-ოფი კი ოქტომბერში გაიმართება. თამაშები 10 ფრანგულ ქალაქში მოეწყობა. ეგენი არიან:

სან დენი (სტად დე ფრანსი), პარიზი (პარკ დე პრენსი), მარსელი, ლიონი, სანტ ეტიენი, ტულუზი, მონპელიე, ბორდო, ნანტი და ლანსი. უელსი სამ მატჩს შინ, კარდიფში გამართავს, შოტლანდია კი ორს, ედინბურგში.

48 მატჩიდან 36 უიკენდზე (პარასკევი, შაბათი და კვირა) მოეწყობა. თამაშები ერთმანეთს არ გადაფარავს. ყველა ფრანგული ქალაქი და კარდიფი მინიმუმ სამ მატჩს უმასპინძლებს. უელსშივეა დანიშნული ის მეოთხედფინალი, რომელშიც ნაღდად გავა ფანთა გულის მპყრობელი, ახალი ზელანდიის ოლ ბლექსი.

ორი მეოთხედფინალი მარსელის ველოდრომზეა, ორივე ნახევარფინალი კი – სან დენის სტად დე ფრანსზე. იქვე გაიხსნება პირველობა და გაიმართება სათასო ფინალი.

საქართველო მსოფლიო თასის შერჩევაში 2006 წლის შემოდგომიდან ჩაებმება, ჯერჯერობით კი ერთა თასზე მორაგბე ბორჯღალოსნები უკეთესი სასტარტო პოზიციისა და განრიგის დასაბევებლად მეცადინეობენ.

თუ ძალთა თანაფარდობა წლის ბოლომდე რადიკალურად არ შეიცვალა და ბორჯღალოსნებმა 2006 წლის ნოემბერში, მეექვსე სტადიის „შინ და გარეთ“ რკენაში აჯობეს პორტუგალიას, მაშინ საქართველო ფინალურ სტადიაზე „ევროპა 3“-ად მოხვდება, დ პულში მიაკითხავს საფრანგეთსა და ირლანდიას, და ეთამაშება:

სამშაბათს, 11 სექტემბერს, ლიონში
სამხრეთ ამერიკას (არგენტინა)

შაბათს, 15 სექტემბერს, ბორდოში
ირლანდიას

ოთხშაბათს, 26 სექტემბერს, ლანსში
აფრიკა 1-ს (მაროკო ან ნამიბია)

და კვირას, 30 სექტემბერს, მარსელში
საფრანგეთს

იხილეთ ნახაზი ორი გვერდის შემდეგ

რაგბის VI მსოფლიო თასი

2007 წლის შემოდგომა: საფრანგეთი, უელსი, შოტლანდია

პულური სტადია: 7 – 30 სექტემბერი

მუღამიანი მატჩები

7/09	დ	საფრანგეთი – სამხ. ამერიკა (სან დენი)
14/09	ა	ინგლისი – სამხ. აფრიკა (სან დენი)
15/09	ბ	უელსი – ავსტრალია (კარდიფი)
21/09	დ	საფრანგეთი – ირლანდია (სან დენი)
23/09	გ	შოტლანდია – ახ. ზელანდია (ედინბურგი)

პლეი-ოფი: 6 – 20 ოქტომბერი

მეოთხედფინალი

6/10	ბ1 – ა2 (მარსელი), გ1 – დ2 (კარდიფი)
7/10	ა1 – ბ2 (მარსელი), დ1 – გ2 (სან დენი)

ნახევარფინალი

13/10	6 ოქტომბერს გამარჯვებულები (სან დენი)
14/10	7 ოქტომბერს გამარჯვებულები (სან დენი)

მესამე ადგილისთვის

19/10	ნახევარფინალში დამარცხებულები (პარიზი)

თასის ფინალი

20/10	ნახევარფინალში გამარჯვებულები (სან დენი)

სტრატეგიულ მოსაზრებათა გამო

რაგბის საერთაშორისო საბჭომ (IRB) 2007 წლის მსოფლიო თასის შესარჩევთა სისტემა ჯერ კიდევ შარშანწინ, ზაფხულში დაამტკიცა.

შეჯიბრი უწინდებურად ხუთ რეგიონში (ევროპა, აფრიკა, ამერიკა, აზია, ზღვისრეთი) იმართება და გამოავლენს ფინალის 12 მონაწილეს, რაღაი ბოლო მსოფლიო თასის რვავე მეოთხედფინალისტი საფრანგეთში თავიდანვე იყო დაპატიჟებული და პულებშიც ორორად განაწილებული.

შერჩევის პროცესი ტრადიციულად მრავალსაფეხუროვანია და ხარჯის შესამცირებლად მაქსიმალურადაა მორგებული არსებულ რეგიონულ შეჯიბრებებს. რაკი ევროპაში მონაწილე ყველაზე მეტია და ერთა თასიც შვიდ ლიგად თამაშდება, აქაურმა აპრ-მა სხვებზე ჩახლართული ფორმულა შეიმუშავა.

პროცესი 2004 წლის სექტემბერში დაიწყო, ბოლო ორ ფინალისტს კი 2007 წლის გაზაფხულზე აქეთ ევროპა – აფრიკა – ამერიკის და იქით ზღვისრეთი – აზიის რეპეშაჟი გამოავლენს.

მეორეობა პირველობას ჯობს

საქართველოსა და ერთა თასის სხვა მონაწილეებს შერჩევის სამი საწყისი რაუნდი არ ეხებათ. ვიდრე 24 არიფი ერთ რჩეულს გამოავლენდეს, აპრ-ის ელიტის ექვსი წევრი ჩვეულ ყაიდაზე, ორ წრედ, მიმოსვლით, ორი სეზონის განმავლობაში გაითამაშებს თასს და რაც მთავარია, გაარკვევს, თუ ვინ რომელი (მეოთხე თუ მეხუთე) რაუნდიდან ჩაებმება შერჩევაში და გადამწყვეტ მატჩს ვის მოედანზე გამართავს.

ბორჯღალოსნებმა ერთა თასის პირველი წრე ისე ძალუმად ჩაამთავრეს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მოწინავე სამეულში ხვდებიან, მაგრამ სტრატეგიულ მოსაზრებათა გამო, პირველობას მეორე (!) ადგილზე გასვლა უჯობთ, რაღაი შერჩევის ფორმულა IRB-ულად ვირეშმაკულია.

ვთქვათ და ერთა თასზე ადგილები ასე განაწილდა: რუმინეთი, საქართველო, პორტუგალია, რუსეთი, ჩეხეთი, უკრაინა.

მაშინ შესარჩევთა მეოთხე რაუნდში (სექტემბერი) შეწყვილდებიან:

რუსეთი – უკრაინა,

ჩეხეთი – მესამე რაუნდის გამარჯვებული (ესპანეთი ან გერმანია) და გაიმართება ორორი თამაში (შინ და გარეთ).

მეხუთე რაუნდში (ოქტომბერი) პულები ასე შედგება:

იტალია – პორტუგალია – რუსეთი და

რუმინეთი – საქართველო – ჩეხეთი/ესპანეთი/გერმანია.

სამი შანსი

აქ ტურნირები ერთ-წრიანია, ანუ მასპინძლობა არსებითი ხდება. ჩვენ ვიღებთ მეოთხე რაუნდიდან ამოსულს და ნაღდად ვუგებთ, ხოლო თუ რუმინეთშიც გავიმარჯვებთ, პირდაპირ გავდივართ მსოფლიო თასზე.

თუ რუმინეთში ვაგებთ, გვრჩება მეორე შანსი, ანუ მეექვსე რაუნდი (ნოემბერი), სადაც ვაჟკაცურად, ორჯერ (ჯერ გარეთ, მერე შინ) ვეთამაშებით პორტუგალიას (თუ არა და, რუსეთს) და თუ ჯამში ვიმარჯვებთ, კვლავ გავდივართ მსოფლიო თასზე.

თუ, ღმერთმა დაგვიფაროს, და აქაც ვაგებთ, გვეძლევა მესამე შანსიც: 2007 წლის გაზაფხულამდე შინ-და-გარეთ შებმებში უნდა გავასაღოთ ჯერ აფრიკის მეორე (ნამიბია/მაროკო), მერე კი ამერიკის მეოთხე (ურუგვაი/ჩილე/აშშ) გუნდიც.

სხვაფრივ, მაქამდეც კი შეიძლება ვერ მივაღწიოთ, თუ ერთა თასს მოვიგებთ (!), რადგან მაშინ მეხუთე რაუნდში ვღებულობთ რუმინეთს, გავდივართ ესპანეთში და აპრ-ში მოკალათებული ლათინური ლობი ცდას არ დააკლებს, რათა ორივე თამაში წავაგოთ და იქვე ჩავრჩეთ.


iRB
RUGBY WORLD CUP 2007
FRANCE
ფინალი
7 სექტ - 20 ოქტ 2007
D
საფრ
ირლ
ს“ამერ
ევრ 3
აფრ 1
A
ინგლ
სამხ.აფრ
სამოა
ამერ 3
ზღ“აზ
B
ზელ
შოტლ
ევრ 1
ევრ 2
ე“ა“ა $
C
ავსტ
უელ
ფიჯი
ჩ“ამერ
აზ 1
$ ე“ა“ა
რეპეშაჟი 2
2007 დამდეგი
ш და з
ამერ 4
B 1
რეპეშაჟი 1
2006 ბოლო - 2007 დამდეგი
ш და з
აფრ 2
E 2
D
ევრ 3
მე-6 რაუნდი
2006 ნოემ
ш და з
A 2
B 2
E
ევრ 1
ევრ 2
მე-5 რაუნდი
2006 ოქტ
ш+з
იტალ
EM 3
A 1
A
ш+з
EM 1
EM 2
B 1
B
მე-4 რაუნდი
2006 სექტ
ш და з
EM 4
EM 6
A
ш და з
B 1
EM 5
B
მე-3B რაუნდი
2006 მაისი
ш და з
A 1
B 1
B
მე-3A რაუნდი
2005 ოქტ - 2006 აპრ
2ш+2з
ესპან
პოლო
მოლდ
ჰოლან
ანდორა
A
2ш+2з
გერმ
ბელგ
ხორვ
სერბ
მალტა
B
ორი წრე (წელი)
რუმინ
საქარ
პორტ
რუს
ჩეხ
უკრ
ერთა თასი
2004 ნოემ - 2006 ივნ
გზამკვლევი
პირდაპირ გადის შემდეგ რაუნდში
ხელმოცარული გადის საშუალედო რაუნდში
ხვდება ფინალში ევრ № -ად
ш და з შინ და გარეთ
ш+з ნაწილი შინ, ნაწილი გარეთ
$ ფინალში ხვდება
“ რეპეშაჟის გავლით

მარტივად ახსნილი
რაგბი

გუნდი

გუნდიდან მოედანზე 15 კაცია. სათადარიგო შვიდია და ნებადართულია შვიდი შეცვლა. დასისხლიანებული მოთამაშე მოედნიდან უნდა გავიდეს და მანამ არ დაბრუნდეს, სანამ თავს არ მოიწესრიგებს.

დრო

თამაში ორ ტაიმად იმართება. თითოს ხანგრძლივობა 40 წუთია. ამას ემატება ტრავმათა, შეცვლათა და მსაჯთა თათბირის გამო გაცდენილი დრო. ერთი კია, ტაიმი არ თავდება გაგანია ბურთაობაში, საჯარიმო და თავისუფალ დარტყმებზე; სამაგიეროდ, დროის ამოწურვის შემდეგ პირველივე აუტი, შერკინება, 22-დან განახლება და ლელოს გარდასახვა ტაიმის ბოლოს მომასწავებელია.

ხეირის წესი

მსაჯობის მთავარი პრინციპი ხეირის (უპირატესობის) ამოქმედებაა. როცა ერთი გუნდი წესს არღვევს, მსაჯი უმალ კი არ სტვენს, არამედ მეტოქეს შეტევას აცლის და მხოლოდ მაშინ, როცა მართალი გუნდი ვეღარ ხეირობს, ნიშნავს ადრინდელი დარღვევის სარგო სასჯელს.

ქულები

ბურთის გატანა ხდება ოთხი ხერხით. ლელო 5 ქულად ფასობს. ამის შემდეგ გუნდი კარში ურტყამს გარდასახვას და თუ შეაგდო, კიდევ 2 ქულა ემატება.

გოლის გატანის სხვა ორი ხერხია საჯარიმო და არეკნი (თამაშის დროს ბურთის მიწაზე დაგდება და ფეხის მაშინ ამორტყმა, როცა ოვალი მიწიდან ხტება). ორივე 3 ქულად ფასობს.

ლელო გაიტანება მეტოქის ლელოში ბურთის დამიწებით. თუ გუნდი ბურთს თავის ლელოში დაამიწებს, მას ლელო დაცულად ეთვლება.

დარღვევები

ბურთის წინ გადაწოდება ან ხელიდან წინ დავარდნა ისჯება შერკინებით.

თამაშგარე (ოფსაიდი) ჯარიმაა. ღია თამაშში ოფსაიდშია ყველა შემტევი, ვინც კი ფეხის დარტყმის მომენტში თანაგუნდელი დამრტყმელის წინაა. ესენი ოფსაიდიდან ან თავად უნდა გავიდნენ, ან დამრტყმელმა გაიყვანოს, როცა წინ აირბენს და მათ გაუსწორდება.

სხვაგვარი თამაშგარე მოქმედებს ბოჭვაზე, რაქში (ძირს დებული ბურთისთვის ზეზეულად ბრძოლაში), მოლში (ბურთისთვის დგომელა ჭიდილში), შერკინებაში და დერეფანში.

ამისი არსი ისაა, რომ ვინც კი იმ მომენტში ბურთისთვის არ იბრძვის, მებრძოლ თავისიანთაგან ბოლოზე უკან უნდა დაიხიოს, დერეფანში კი შუა ხაზს სულაც 10 მეტრით დაშორდეს.

ურჯუკობისთვის (ზღვარგადასული სიხისტე) და წესების ზედიზედ დარღვევისთვის (პროფესიული ფოლი) დამნაშავეს მსაჯი უჩვენებს ყვითელ ბარათს და გააძევებს ათი წუთით (სინბინი).

სადაო ბურთი

დერეფანსა და შერკინებაში ბურთი შუაში უნდა მოაწოდონ. შერკინებაში აუცილებლად რვა კაცი უნდა ჩადგეს. დერეფანში ნებადართულია ბურთის მოსაგებად ამხტარი კაცისთვის ხელის შეშველება.

სამატჩო რაზმი

ფორვარდები	ბეკები
დამწყები 15-ეული	
1 მარცხენა ბურჯი	9 ჰავბეკი
2 კვაჭი (ჰუკერი)	10 პირველი პივოტი
3 მარჯვენა ბურჯი	11 მარცხენა ფრთა
4 მხტომელი	12 მეორე პივოტი
5 მხტომელი	13 შუამარბი
6 მარბიელი	14 მარჯვენა ფრთა
7 მღლეტელი	15 ფულბეკი
8 მარბიელი	
მარქაფა (სათადარიგონი)	
16 კვაჭი	20 ჰავბეკი
17 ბურჯი	21 შუა ბეკი (10 12 13)
18 მხტომელი	22 უკანა ბეკი (11 14 15)
19 მარბიელ-მღლეტელი	

თუ გაგანია თამაშში მეტოქე ბურთიანს დაიჭერს და წააქცევს (შებოჭავს!), ამან ბურთით უმალ უნდა ითამაშოს, თორემ დაჯარიმდება. მოიერიშე ყველაზე ხშირად ამ წესს არღვევს.

შემტევი გუნდი კიდევ ჯარიმდება გზის შეკვრისთვის (ბლოკირება; ანუ როცა მეტოქეს შენს გუნდელ ბურთიანთან არ მიუშვებ).

როცა ბურთი ჩაიხურება, ინიშნება შერკინება. ბურთს მასში აგდებს ის გუნდი, ვინც წინ მიიწევდა, მაგრამ თუ გუნდმა ბურთი მოლიდან ვერ გამოიტანა, შერკინებაში შესაგდებად ბურთი მეტოქეს გადაეცემა. იგივე ხდება მაშინაც, როცა გუნდი მოგებულ ბურთს შერკინებიდან მის მოტრიალებამდე ვერ გამოიტანს.

თუ ბურთი აუტში თამაშ-თამაშ გავიდა, დერეფანში მას მეტოქე მოაწვდის, მაგრამ თუ ბურთი კიდეზე ჯარიმიდან დაარტყეს, აწვდის ჯარიმის დამრტყმელი გუნდი. ეს მძლავრი საიერიშო ხერხია.



ლელო!	ბურთს ხელი არ გაუშვა	წინ გაუვარდა	ხეირი ამ გუნდს

ფეხით თამაში

თუ ბურთი აუტში საკუთარი 22-მეტრა ხაზის უკნიდან, ან ჯარიმიდან დაარტყეს, დერეფანი დადგება იქ, სადაც ბურთი აუტში გავიდა, მაგრამ თუ ბურთი 22-ის გარედან დაარტყეს აუტში, იგი კიდეზე გადასვლამდე ჯერ მოედანში უნდა დავარდეს, თორემ დერეფანი დარტყმის ადგილის გასწვრივ მოეწყობა.

ტაქტიკა

რაგბში არ არსებობენ ცალკე თავდამსხმელები და ცალკე მცველები:

ყველა ერთად უტევს და იცავს თავს.

ყოველი სასტვენის მერე თამაშს იწყებენ ფორვარდები (მორკინალები).

ამათი მიზანია, პირდაპირი, ძალისმიერი მიძალებით ბურთი წინ წაწიონ და მოედნის მცირე უბანზე მიიზიდონ მეტოქის ჭარბი ძალა.

როცა კი ეს მოხდება, ჰავბეკი ბურთს მისცემს ბეკებს (უკანა ხაზელებს), რათა ამათ მოედნის ვრცელსა და გაუხშოებულ უბნებზე, უკან დამხევი დაცვის წინაშე, თავიანთი სიმარდის წყალობით, გამოიყენონ რიცხობრივი მეტობა.

ვიდრე ეს მოხდება, შემტევს ხშირად ზედიზედ უწევს მიძალება. ამას იერიშის ფაზა ჰქვია.

ყოველი ფაზის შემდეგ მოქმედებს ოფსაიდი, ხდება ტერიტორიის გამიჯვნა და ორივე გუნდი გადაჯგუფდება ხოლმე.

თუ დამცველი ამ დროს შემტევს ბურთს აართმევს, მაშ, თერნოვერი მომხდარა და დამცველს უკვე თავად შეეძლება შეტევა.

დაცვა ბოლო ფეხის გაყოლებაზე ხაზად ეწყობა. შემტევი მის გაჭრას ცდილობს, მისიანები კი მიყვებიან. ხშირად ბურთიანს პასი კონტაქტში, ნახევრად დაჭერილს უწევს. ამას ოფლოუდი ქვია.



საქართველოს ბორჯღალოსნები

№	სახელი და გვარი	კლუბი ქმქმანა	ასაკი	☸	ლ	გ-ს-ა	ქულა
ბეკები (უკანა ხაზი)							
ფულბეკი და ფრთები							
15	ოთარ ბარკალაია	ვპკ ანდორა	22	15		2-1-1	10
11	ბესიკ ხამაშურიძე	როვიგო იტა	29	41	9	(1 კაპ)	45
14	ირაკლი მაჩხანელი	ბეზიე სფრ	25	18	5		25
22	გიორგი ელიზბარაშვილი	აკადემია	22	4			
შუამარბები							
13	მახო ურჯუკაშვილი	კანი სფრ	26	41	9	33-32-1	210
12	ირაკლი გიორგაძე	ბურგუენი სფრ	24	16			
პივოტი							
10	პალიკო ჯიმშელაძე	ბობინი სფრ	31	46	8	49-42-3	273
21	თემურ სოხაძე	ვიერზონი სფრ	21	3		1	2
ჰავბეკი							
9	ირაკლი აბუსერიძე	ორლეანი სფრ	29	31	4		20
20	ბიძინა სამხარაძე	ფარული რუმ	23	11	1		5
ფორვარდები (შერკინება)							
პირველი ხაზი							
1	გოდერძი შველიძე	კლერმონი სფრ	28	32	7		35
2	აქვსენტი გიორგაძე	კასტრი სფრ	30	41	9		45
3	დავით ზერაქაშვილი	კლერმონი სფრ	23	8	1		5
16	გიორგი კუთარაშვილი	ეგზი სფრ	28	7			
17	მიხეილ სუჯაშვილი	პერიგო სფრ	29	6			
მეორე ხაზი							
4	ილია ზედგინიძე კაპ	ეგზი სფრ	29	38	12	(22 კაპ)	60
5	მამუკა გორგოძე	მონპელიე სფრ	22	16	6		30
18	ლევან დათუნაშვილი	ბორდო სფრ	23	7			
მესამე ხაზი							
6	რატი ურუშაძე	ენისეი რუს	31	12	3		15
7	გია ლაბაძე	ტულონი სფრ	33	39	8	(1 კაპ)	40
8	ბესო უდესიანი	შალონი სფრ	27	15	4		20
19	ზვიად მაისურაძე	ლოკომოტივი	26	10	2		10

მწვრთნელები მალხაზ ჭეიშვილი, დავით ჩავლეიშვილი, პაატა ნარიმანაშვილი

07/02 :::